

საქართველოს საჯარო დაწესებულებების საინფორმაციო (ინტერნეტ) რესურსების მონიტორინგი - 2011

კვლევის ძირითადი მიზნები:

- საქართველოს საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლება;
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ხელშეწყობა;
- საქართველოში ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება;
- საქართველოში ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული გამჭვირვალობის განვითარება.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აკრედიტაციის ერთიანი
ეროვნული ორგანოს - აკრედიტაციის ცენტრის ოფიციალური ვებ-გვერდის
(www.gac.gov.ge) საინფორმაციო გამჭვირვალობისა და ელექტრონული
მმართველობის შეფასებითი მონიტორინგი

2011 წლის 27 სექტემბერი

ყველა უფლება დაცულია

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ა. მაჭავარიანის ქ. №4, ბინა1. 0179. საქართველო, თბილისი.

Tel: +995322 996364.

www.idfi.ge / www.opendata.ge

info@idfi.ge




საჯარო სამართლის იურიდიული პირი - აკრედიტაციის ერთიანი
ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი


www.gac.gov.ge

გამოვლენილი ძირითადი ხარვეზები და რეკომენდაციები

ოფიციალური ვებ-გვერდის საინფორმაციო გამჭვირვალობა IDFI
პარამეტრების მიხედვით



■ ინფორმაციის არსებობა ვებ-გვერდზე
 ■ წარმოდგენილი ინფორმაციის ხარისხი



საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს - აკრედიტაციის ცენტრის ვებ-გვერდზე არ მოიძიება:

➤ ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ

1. ვებ-გვერდზე არ არის მოცემული არანაირი ინფორმაცია ცენტრის ხელმძღვანელობის შესახებ, კერძოდ:

- არ მოიძიება ცენტრის გენერალური დირექტორის სახელი და გვარი, ფოტოსურათი, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, კომპეტენციის აღწერა. აგრეთვე, არ მოიძიება მისი არანაირი საკონტაქტო რეკვიზიტი - სამუშაო ელ.ფოსტა, მისაღების (თანაშემწის) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები;
- არ მოიძიება ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილის სახელი და გვარი, ფოტოსურათი, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, კომპეტენციისა და საკუთრებო სფეროს აღწერა. აგრეთვე, არ მოიძიება მოადგილის არანაირი საკონტაქტო რეკვიზიტები - სამუშაო ელ.ფოსტა, მისაღების (თანაშემწის) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები.

2. არ მოიძიება ვებ-გვერდის ოფიციალურობის დამადასტურებელი წერილობითი აღნიშვნა და ცენტრის შენობის მდებარეობის აღმნიშვნელი რუკა.

3. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ცენტრის სრული სარეკვიზიტო ცნობარი (სტრუქტურული ქვედანაყოფების სატელეფონო ცნობარი, ელ. ფოსტა და ფაქსის ნომრები), აგრეთვე, არ მოიძიება ცენტრის მიერ ფიზიკური და იურიდიული პირების მიღების და მათთან მუშაობის გრაფიკი.

4. ვებ-გვერდზე მოცემულია ცენტრის საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, თუმცა სასურველია აქვე მითითებულ იყოს რომ მოცემული ნომერი წარმოადგენს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ტელეფონის ნომერს:

კონტაქტი

მისამართი: ალ.ყაზბეგი 42ა , თბილისი 0186

ტელეფონები: +995 32 399348; +995 32 192233

ფაქსი: +995 32 399348

Email: gac@gac.gov.ge

5. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ცენტრის ზემდგომი (მაკონტროლებელი) ორგანოს, კერძოდ, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დასახელება, ხოლო მის

ოფიციალურ ვებ-გვერდზე გადასასვლელი ბმული მოცემულია მხოლოდ ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში „სასარგებლო ბმულები“. სასურველია ზემოთ აღნიშნული ინფორმაცია განთავსდეს ასევე, ვებ-გვერდის მთავარ გვერდზე:

სასარგებლო ბმულები

ადმინისტრაციული ორგანოები:


[საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;](#)

➤ საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა

6. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ცენტრის სტრუქტურის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია, კერძოდ:

- არ მოიძიება ცენტრის სტრუქტურული ქვედანაყოფების ჩამონათვალი;
- არ მოიძიება სტრუქტურული ქვედანაყოფების ფუნქციების აღწერა;
- არ მოიძიება სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელების სახელები და გვარები, ფოტოსურათები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, კომპეტენციის აღწერა და აგრეთვე მათი საკონტაქტო რეკვიზიტები: სამუშაო ელ.ფოსტები, მისაღების (თანაშემწეების) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები;
- არ მოიძიება სტრუქტურული ქვედანაყოფების ელექტრონული ფოსტის მისამართები და საკონტაქტო ტელეფონის ნომრები.

ვებ-გვერდზე მართალია მოცემულია ცენტრის სტრუქტურული ხე, თუმცა მასზე აღნიშნული ორი სტრუქტურული ქვედანაყოფის სახელწოდება არასრულადაა მოცემული:



ცენტრის მოქმედი დებულების თანახმად ზემოაღნიშნული სტრუქტურული ქვედანაყოფების სახელწოდებები შემდეგნაირად არის მოხსენებული:

- აკრედიტაციის, ზედამხედველობისა და საინფორმაციო კონტროლის სამსახური;
- საფინანსო განყოფილება.

7. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ცენტრის სათათბირო ორგანოს შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია:

- არ მოიძიება ცენტრის სათათბირო ორგანოს - აკრედიტაციის საბჭოს ხელმძღვანელების სახელები და გვარები, ფოტოსურათები და ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები;

- არ მოიძიება ცენტრის სათათბირო ორგანოს - აკრედიტაციის საბჭოს სტრუქტურა და შემადგენლობა;
- არ მოიძიება ცენტრის სათათბირო ორგანოს - აკრედიტაციის საბჭოს სხდომების ოქმები (საოქმო ჩანაწერები) და სხდომებზე მიღებული გადაწყვეტილებები (ინფორმაციული ხასიათის ცნობები).


➤ მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ

8. ცენტრის ვებ-გვერდზე არ არის მოცემული შემდეგი სახის მნიშვნელოვანი მონაცემთა ბაზები: არ არსებობს ვაკანსიათა და ტენდერების არქივი (არ არსებობს ტენდერების შესაბამისი (ქვე-) განყოფილება), საერთაშორისო და ადმინისტრაციული ხელშეკრულებები, ცენტრის საქმიანობის ამსახველი წლიური ანგარიშები, პროგრამები და პროექტები, გეგმები და პროგნოზები, ფინანსური ხასიათის მაჩვენებლები და ა.შ.


ამასთან, ვებ-გვერდზე არსებული განყოფილება, სათაურად „კითხვა-პასუხი“ იუწყება, რომ მიმდინარეობს რეკონსტრუქცია:



ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში „აკრედიტაცია“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „ტექნიკური მრჩეველთა კომიტეტები“ – „ინსპექტირების ტმკ“ იუწყება, რომ მიმდინარეობს რეკონსტრუქცია:



აგრეთვე, ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში, სათაურად „აკრედიტაციის მოწმობა (ნიმუშები)“ არსებული ქვე-განყოფილება „საინსპექციო ორგანოს აკრედიტაციის მოწმობა“ იუწყება, რომ მიმდინარეობს რეკონსტრუქცია:



➤ ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები

9. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ცენტრის ხელმძღვანელ პირთა მიმდინარე საქმიანობის შესახებ თითქმის არანაირი სახის ცნობები. კერძოდ:


- არ მოიძიება ცენტრის გენერალური დირექტორის გამოსვლების, განცხადებების, ბრიფინგების ტექსტები, ცნობები მისი ოფიციალური/სამუშაო ვიზიტების შესახებ;
- არ მოიძიება ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილის გამოსვლების, განცხადებების, ბრიფინგების ტექსტები, ცნობები მათი ოფიციალური/სამუშაო ვიზიტების შესახებ, აგრეთვე, ცნობები მათი მონაწილეობის შესახებ ამა თუ იმ ღონისძიებებში.

10. ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში, სათაურად „სიახლე“ მოყვანილია ცენტრის საქმიანობის ამსახველი ძალზედ მწირი რაოდენობის საინფორმაციო ხასიათის ცნობები. ამასთან, მოცემული ცნობები თარიღდება მხოლოდ 2011 წლით, რაც საშუალებას არ აძლევს მომხმარებელს გაეცნოს ცენტრის საქმიანობის შესახებ 2011 წლამდე განხორციელებული საქმიანობის შესახებ საინფორმაციო ხასიათის ცნობებს:

	07 ივნისი, 2011 9 ივნისი, მსოფლიო აკრედიტაციის დღე 2011 წლის 9 ივნისს აღინიშნება მსოფლიო აკრედიტაციის დღე ILAC-ისა (ლაბორატორიების აკრედიტაციის ევროპული თანამშრომლობა) და IAF – ის(საერთაშორისო აკრედიტაციის ფორუმი), ინიციატივით. ამ კამპანიის მიზანია აკრედიტაციის პოპულარიზაცია მსოფლიოში.
	02 ივნისი, 2011 აკრედიტაციის ევროპული თანამშრომლობის (EA) 27-ე გენერალური ასამბლეა E 2011 წლის 25-26 მაისს გერმანიის ქალაქ ბერლინში გაიმართა EA-ს(აკრედიტაციის ევროპული თანამშრომლობა) 27-ე გენერალური ასამბლეა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო აკრედიტაციის ცენტრის გენერალურმა დირექტორმა პაატა გოგოლიძემ.
	14 აპრილი, 2011 საკ 1.8: 2011-ის დამტკიცება საჯარო სამართლის იურიდიული პირის „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს - აკრედიტაციის ცენტრის“ გენერალური დირექტორის 2011 წლის 21 მარტის ბრძანება №5-ით დამტკიცდა „საკ 1.8:2011
	03 აპრილი, 2011 აკრედიტაციის ცენტრის ინსტიტუციონალური განვითარების გეგმის პრეზენტაცია 2011 წლის 25 მარტს ქალაქ თბილისში გაიმართა აკრედიტაციის ცენტრის ინსტიტუციონალური განვითარების გეგმის პრეზენტაცია.

11. ვებ-გვერდზე მართალია არსებობს განყოფილება სათაურად „სტატისტიკური ინფორმაცია“ თუმცა მასში განთავსებულია ერთადერთი სტატისტიკური მონაცემი:

სტატისტიკური ინფორმაცია



12. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება „წლიური ანგარიშები“, სადაც განთავსდებოდა ცენტრის საქმიანობის ყოველწლიური ანგარიში და მიმდინარე კვარტალური მოხსენებები/ანგარიშები.

13. ვებ-გვერდზე არ არსებობს განყოფილება „პროგრამები/პროექტები“, სადაც მოყვანილი იქნებოდა იმ პროგრამების/პროექტების ჩამონათვალი და მათ შესრულების შესახებ (წლიური) მოხსენებები, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს ცენტრი. აგრეთვე, სასურველია მოიძიებოდეს ცნობები იმ პროგრამების/პროექტების ფარგლებში მიმდინარე ღონისძიებების შესახებ, რომელთა რეალიზაციაში მონაწილე მხარეს წარმოადგენს ცენტრი. **(პროექტ „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, აკრედიტაციის ცენტრისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) განხორციელებული იმ პროექტებისა და პროგრამების (სოციალური, მიზნობრივი, კვლევითი, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ამა თუ იმ სფეროს განვითარებაზე მიმართული და მისთ.) ამომწურავი ჩამონათვალი, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს ცენტრი, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის ცენტრის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/akreditacia_proeqtebi.pdf).**

14. ცენტრის პარტნიორ ორგანიზაციათა ვებ-გვერდებზე გადასასვლელი ბმულები განთავსებულია, მხოლოდ განყოფილებაში, სათაურად: „სასარგებლო ბმულები“, სასურველია ვებ-გვერდზე არსებობდეს ცალკეული (ქვე-)განყოფილებები „საერთაშორისო პარტნიორობა“ და „პარტნიორობა საქართველოს ორგანიზაციებთან“, სადაც მოყვანილი იქნება პარტნიორობის შესაბამისი ტექსტური ინფორმაციული აღწერა და აგრეთვე, ცენტრის პარტნიორ ორგანიზაციათა ვებ-გვერდების ბმულები:

სასარგებლო ბმულები

ადმინისტრაციული ორგანოები:

[საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;](#)

[საქართველოს მთავრობა;](#)

[საქართველოს სტანდარტების, მეტროლოგიისა და ტექნიკური რეგლამენტების ეროვნული სააგენტო](#)

პარტნიორი და საერთაშორისო ორგანიზაციები:

- [აკრედიტაციის ევროპული თანამშრომლობა – EA;](#)
- [ლაბორატორიების აკრედიტაციის საერთაშორისო თანამშრომლობა – ILAC;](#)
- [აკრედიტაციის საერთაშორისო ფორუმი – IAF;](#)
- [ლატვიის ეროვნული აკრედიტაციის ბიურო – LATAK;](#)
- [თურქეთის აკრედიტაციის სააგენტო – TURKAK;](#)

➤ სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა

15. სამართლებრივი აქტები მიმოფანტულია ვებ-გვერდზე არსებულ ქვე-განყოფილებებში, კერძოდ:

- ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში „აკრედიტაცია“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „კანონმდებლობა“:

მთავარი » აკრედიტაცია » კანონმდებლობა

კანონმდებლობა

მიმაგრებული დოკუმენტები :

- [საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს აკრედიტაციის ცენტრის დებულება](#)
- [საქართველოს კანონი საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ](#)
- [საქართველოს კანონი პროდუქციისა და მომსახურების სერტიფიკაციის შესახებ](#)
- [საქართველოს კანონი სახელმწიფო ქონების შესახებ](#)
- [საქართველოს კანონი სტანდარტიზაციის შესახებ](#)
- [საქართველოს კანონი სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ](#)
- [საქართველოს კანონი გაზომვათა ერთეულების უზრუნველყოფის შესახებ](#)
- [საქართველოს კანონი ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ](#)

- ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში „აკრედიტაცია“ ასრულებს ქვე-განყოფილებაში „საკ-ის წესები და პროცედურები აკრედიტაციისათვის“:

მთავარი » აკრედიტაცია » საკ-ის წესები და პროცედურები აკრედიტაციისათვის

საკ-ის წესები და პროცედურები აკრედიტაციისათვის

საქართველოს კანონის „პროდუქციის და მომსახურების სერტიფიკაციის“ შესახებ კანონის მეთერთმეტე მუხლის პირველი ქვეპუნქტის შესაბამისად:

„აკრედიტაცია ხორციელდება აკრედიტაციის ეროვნული ორგანოს დებულებისა და მის მიერ მიღებული იმ წესების საფუძველზე, რომლებიც ეფუძნება შესაბამის, საერთაშორისოდ აღიარებულ, აკრედიტაციის ორგანოების მიერ მიღებულ სტანდარტებსა და დოკუმენტებს.“

იხილეთ აკრედიტაციის სისტემის ტექნიკური რეგლამენტები:

მიმაგრებული დოკუმენტები :

-  [სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრის აკრედიტაციის წესები და პროცედურები – საკ1.1 –2006](#)
-  [ზოგადი მოთხოვნები ლაბორატორიების აკრედიტაციისადმი საკ1.2.2006\(სახელმძღვანელო დოკუმენტი სსტ ენ 45001.2006 და სსტ ისო.იეკ 17025.2006 სტანდარტების გამოსაყენებლად](#)
-  [ზოგადი მოთხოვნები შესაბამისობის შემფასებელი ორგანოების \(სერტიფიკაციის ორგანოების\) აკრედიტაციისათვის საკ1.3 .2006 \(სახელმძღვანელო დოკუმენტი სსტ ენ 45011.2006 სტანდარტის გამოსაყენებლად](#)
-  [აკრედიტაციის სისტემის ტექნიკური რეგლამენტი აკრედიტებული პირების საქმიანობის საინსპექციო კონტროლის და ზედამხედველობის ჩატარების წესი – საკ 1.4. 2006](#)

- ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში „აკრედიტაცია“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „აკრედიტაციის ღირებულება“:

მთავარი » აკრედიტაცია » აკრედიტაციის ღირებულება

სსიპ "აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრი"-ს მიერ გაწეული მომსახურების საფასურის განსაზღვრის წესი

მიმაგრებული დოკუმენტები :

-  [საჯარო სამართლის იურიდიული პირის "აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრი"-ს მიერ გაწეული მომსახურების საფასურის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ](#)
-  [კოდიფიკატორი 2-3 დანართი. საქართველოს ინტეგრირებული ტარიფის დამტკიცების შესახებ](#)
-  [კოდიფიკატორი ასს-ს ტესტირების სფეროში](#)
-  [MI-2314-2000 -კოდიფიკატორი დეკალიბრების ლაბორატორიებისათვის](#)
-  [NACE კოდიფიკატორი მენეჯმენტის სისტემებში](#)

სასურველია ვებ-გვერდზე შეიქმნას ცალკეული (ქვე-)განყოფილება სათაურად „კანონმდებლობა“ ან „სამართლებრივი აქტები“, სადაც ერთად იქნება წარმოდგენილი ზემოთ მოცემულ ქვე-განყოფილებებში განთავსებული სამართლებრივი აქტები. სასურველია მოცემულ (ქვე-)განყოფილებაში განთავსდეს აგრეთვე, ცენტრის საქმიანობის (მმართველობის) სფეროსთან დაკავშირებული საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მინისტრისა და ცენტრის გენერალური დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები - განკარგულებები, აგრეთვე, გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებული ცენტრის შიდა სტრუქტურული ქვედანაყოფების დებულებები და ასევე, სამართლებრივი აქტების პროექტები.

ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში „აკრედიტაცია“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „კანონმდებლობა“ განთავსებული სამართლებრივი აქტი - აკრედიტაციის ცენტრის დებულება სასურველია მოიძიებოდეს შესაბამის განცალკევებულ (ქვე-)განყოფილებაში.

სასურველია აღნიშნულ (ქვე-) განყოფილებაში აგრეთვე მოიძიებოდეს შემდეგი სამართლებრივი აქტებიც:

- საქართველოს კონსტიტუცია;
 - საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
 - საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“;
 - საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები.
- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას**

16. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიმართვათა მიმოხილვა.

17. ვებ-გვერდზე არ არსებობს საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული განცალკევებული განყოფილება. არ მოიძიება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის ვინაობის (სახელი და გვარი), თანამდებობისა და საკონტაქტო რეკვიზიტების შესახებ ინფორმაცია, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა გასაჩივრების შესახებ ცნობები და ცენტრში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემასა და გაცემის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია. აგრეთვე ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრისა და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ჩამოსატვირთი ფორმები/ნიმუშები. *(პროექტ „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, აკრედიტაციის ცენტრისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) გამოცემული იმ ინდივიდუალურ*

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ჩამონათვალი (რეკვიზიტებზე მითითებით), რომლებიც მოიცავენ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის დაკმაყოფილების ან მასზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებების შესახებ ინფორმაცია, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის ცენტრის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:

http://www.opendata.ge/pdf_files/akreditacia_infostatistics0001.pdf).

- საჯარო დაწესებულების საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები

18. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებათა ბლოკი/განყოფილება, სადაც მოყვანილი იქნებოდა ცენტრსა და ფიზიკურ/იურიდიულ პირებს შორის, აგრეთვე, ცენტრსა და სხვა საჯარო დაწესებულებას შორის გაფორმებულ ადმინისტრაციულ (სამოქალაქო/სამართლებრივ) ხელშეკრულებათა ჩამონათვალი და პირობები.

19. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება „ტენდერები“, სადაც განთავსდებოდა ცენტრის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) და განხორციელებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) ამომწურავი ჩამონათვალი (სია) და ასევე, ცენტრის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა და სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) შესახებ ინფორმაცია. (პროექტ „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, აკრედიტაციის ცენტრისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) და განხორციელებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) ამომწურავი ჩამონათვალი (სია), რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის ცენტრის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/akreditaciis centri_shesqidvebi.pdf).

- საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა

20. ვებ-გვერდზე მართალია არსებობს ქვე-განყოფილება სათაურად „ვაკანსია“, თუმცა მასში განთავსებულია ვაკანსიის ერთადერთი განცხადება:

ვაკანსია

სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი“ აცხადებს ვაკანსიას წამყვანი შემფასებლის პოზიციაზე:

ზოგადი მოთხოვნები, განათლება და მუშაობის გამოცდილება:

- უმაღლესი ტექნიკური განათლება;
- კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები;
- ბიზნეს ან საჯარო სექტორში პროფილის მიხედვით მუშაობის გამოცდილება ან/და
- ლაბორატორიის, სერტიფიკაციის ორგანოს ან საწარმოს ხარისხის მართვის სისტემაში მუშაობის გამოცდილება.
- ძირითადი საოფისე პროგრამების (Microsoft Office) ცოდნა;
- პრიორიტეტი ენიჭება ინგლისური და რუსული ენების ცოდნას;

პიროვნული თვისებები:

- სწავლის და თვითგანვითარების უნარი;
- კეთილსინდისიერი დამოკიდებულება საქმისადმი;
- კომუნიკაბელურობა და პარტნიორული ურთიერთობის თვისებები
- შრომისმოყვარე

დაინტერესებულმა პირებმა გამოგზავნეთ CV სურათით ქართულ/ინგლისურ ენაზე, ელ. მისამართზე: qac@qac.gov.ge 2011 წლის ოქტომბრის ჩათვლით. წერილის სათაურში აუცილებლად მიუთითეთ პოზიციის დასახელება.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დაკავშირება მოხდება მხოლოდ შერჩეულ კანდიდატებთან.

სასურველია, მოცემულ ქვე-განყოფილებაში განთავსდეს ვაკანსიათა არქივი, აგრეთვე საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის შედეგები (სამსახურის მიერ კანდიდატთა პერსონალური მონაცემების ვებ-გვერდზე განთავსების საფუძვლებზე (თანხმობის მიღება) მითითებით, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის პროცედურებისა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების წაყენების, მათი ადმინისტრაციული წარმოების გზით გასაჩივრების წესის აღწერა და ა.შ.

➤ საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)

21. ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი ცენტრის საქმიანობასთან დაკავშირებული ფინანსური ხასიათის არანაირი ინფორმაცია:

- არ მოიძიება ცენტრისათვის გამოყოფილი სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ყოველწლიური ასიგნებების შესახებ ინფორმაცია;
- არ მოიძიება ცენტრის ბიუჯეტში ასახული შემოსავლებისა და გასავლების / ბიუჯეტის შესრულების ბალანსისა და ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შესახებ ზოგადი ინფორმაცია; (პროექტ „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, აკრედიტაციის ცენტრისათვის ოფიციალური

წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) განხორციელებული სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნების ხარჯვის შესახებ ინფორმაცია (სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ბალანსი), რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის ცენტრის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:


http://www.opendata.ge/pdf_files/akreditacia_budget0001.pdf);

- არ მოიძიება საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი თანამდებობის პირთა ჩამონათვალი და საშტატო ერთეულზე გათვალისწინებული ფინანსური განაკვეთების შესახებ ინფორმაცია;
- არ მოიძიება ცენტრის სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასების, დანამატების და დარიცხული პრემიების წლიური ოდენობების შესახებ ინფორმაცია; (პროექტ „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, აკრედიტაციის ცენტრისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე), ადმინისტრაციისა და სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასებისა და პრემიების საერთო კვარტალური ოდენობების შესახებ ინფორმაცია (კონკრეტულ პირთა ვინაობაზე მითითების გარეშე), რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის ცენტრის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:

http://www.opendata.ge/pdf_files/akreditaciiscentri_xelfasipremia.pdf);


- არ მოიძიება ცენტრის შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე ან/და საკუთარი ინიციატივით განხორციელებული იმ პროექტებისა და პროგრამების (სოციალური, მიზნობრივი, კვლევითი, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ამა თუ იმ სფეროს განვითარებაზე მიმართული და მისთ.) სავარაუდო და ფაქტობრივი ხარჯთაღრიცხვა, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს სამსახური;
- არ მოიძიება უცხო სახელმწიფოთა მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების მიერ ცენტრისათვის გამოყოფილი ფინანსური დახმარების (გრანტები) ხარჯთაღრიცხვა.

შეფასება ვებ-გვერდის ელექტრონული კომპონენტის მიხედვით:




ვებ-გვერდის ელ-მმართველობის ხარისხი

■ ტექნიკური პარამეტრის არსებობა ვებ-გვერდზე




➤ ძიება

ვებ-გვერდის ქართულ ვერსიაში, ძიების ველში ავტომატურად იწერება ქართული ფონტით, რაც ძალიან მნიშვნელოვანია და სასარგებლოა, თუმცა მომხმარებელს უნდა შეეძლოს ძიება როგორც ქართული ფონტით ასევე ლათინური ფონტით. ამ შემთხვევაში კი ქართულიდან ლათინურ ფონტზე გადასასვლელი ღილაკი არ არსებობს:



➤ მარტივად აღქმის კრიტერიუმები

ტექსტის მარტივად აღქმისთვის, ვებ-გვერდის ფონტის ზომა უნდა იყოს 12 პიქსელი ან მეტი:



აკრედიტაციის დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობას აძლევს, მიიღონ განმარტებული გადაწყვეტილება ლაბორატორიის არჩევისას, რამდენადაც სწორედ აკრედიტაცია აკეთებს მისი კომპეტენტურობის, მიუკერძოებლობის და შესაძლებლობის დემონსტრირებას; ის ხელს უწყობს რეალიზებული პროდუქციის და მომსახურებისადმი ნდობას.

ეფექტურობის ეტალონი

აკრედიტაცია ლაბორატორიებს ეხმარება თვითონ შეაფასონ თავისი მუშაობის სისწორე და ხარისხის დონე, აგრეთვე დაადგინონ თავისი კომპეტენტურობის შენარჩუნების ეტალონი. მრავალი ლაბორატორია მუშაობს საკმარისი სიზრჯოლის მიხედვით ანალოგიური ლაბორატორიისაგან იზოლირებულად და იშვიათად ღებულობენ თავისი ეფექტურობის საზომად დამოუკიდებელ ტექნიკურ შეფასებას. აკრედიტაციის ორგანოების მიერ რეგულარული ზედაპირული შეფასება მდგომარეობს ზუსტი და საიმედო მონაცემების თანმიმდევრული გამოუმუშავებისთვის ობიექტის კმედების ყველა ასპექტის შემოწმებაში. თითოეული შემოწმების შემდეგ განისაზღვრება სრულყოფის დონისბიებები და დგება დეტალური ანგარიში. თუ აუცილებელია, აკრედიტაციის ორგანო ატარებს ლაბორატორიის მიერ განხორციელებული მავრეტირებული დონისბიებების მონიტორინგს.


აქრედიტაციის აკრედიტაციის ორგანო ლაბორატორიის მომსახურებისადმი ნდობას. სასარგებლოა/ორგანიზაციის სახელი

ამ შემთხვევაში ფონტის ზომა ნაკლებია ვიდრე 12 პიქსელი, შესაბამისად რთულდება ტექსტის წაკითხვა.

➤ საკონტაქტო ფორმები და წესები

საკონტაქტო ფორმაში აუცილებლად უნდა იყოს ინტერაქტიული რუკა, ასევე საკონტაქტო ფორმას უნდა ჰქონდეს დამცავი კოდი. ვებ-გვერდზე კი არც-ერთი ზემოთაღნიშნული კრიტერიუმი არ არის დაკმაყოფილებული:

http://gac.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=4




➤ სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი

ბრაუზერ “Safari” - ში ვებ-გვერდის სტრუქტურა დარღვეულია:



საჭიროა მისი გასწორება HTML / CSS ენების გამოყენებით;

ვებ-გვერდის ძიების მოდულის გამოყენების შემდეგ, გადავდივართ საიტის უცხო ენოვან ვერსიაზე. მაგალითად, თუ ძიება განხორციელდა ინგლისურ ვერსიაში, ძიების შემდეგ ავტომატურად გადავდივართ ქართულ ვერსიაში:




➤ ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან


აკრედიტაციის ეროვნულ ცენტრს არ აქვს „Fan Page“-ი არც „Facebook“-ზე და არც სხვა მსხვილ სოციალურ ქსელებზე, შესაბამისად ვებ-გვერდი არ არის ინტეგრირებული არც-ერთი სოციალურ ქსელში.

➤ უსაფრთხოება

უსაფრთხოების გაზრდის მიზნით, ხშირად ვებ-გვერდებს უცვლიან პროტოკოლს და HTTP პროტოკოლის მაგივრად ელ.რესურსს ამუშავენ HTTPS პროტოკოლზე, თუმცა ამ შემთხვევაში HTTPS პროტოკოლზე მუშაობს ელ-ფოსტა და არა ვებ-გვერდი:




ვებ-გვერდზე დაფიქსირდა მნიშვნელოვანი ხარვეზი:



ეს ხარვეზი ზრდის ვებ-გვერდზე კიბერ შეტევის განხორციელების შანსს. ჩვენ სპეციალურად არ ვწერთ ვებ-გვერდზე სად არის დაშვებული შეცდომა, თუმცა აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს ტექნიკურ პირთა დაინტერესების შემთხვევაში მივაწვდით შესაბამის ინფორმაციას;

➤ დამატებითი პარამეტრები

დამოწმებები ტექსტსა და ობიექტებს შორის უნდა იყოს 2 პიქსელზე მეტი, ამ შემთხვევაში კი დამოწმება ნაკლებია: http://gac.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=45



ავტორიზაციის მოდულში, თუ მომხმარებელმა არასწორად შეიყვანა ინფორმაცია მომხმარებლის ან პაროლის ველში, ავტორიზაციის ღილაკზე დაჭერის შემდეგ, არ გამოდის შეტყობინება იმის შესახებ, სწორად იყო თუ არა ინფორმაცია შეყვანილი და გვერდი იტვირთება ისევ ჩვეულებრივ ფორმატში:

- აკრედიტებული პირები
- აკრედიტაციის მოწმობა (ნიმუში)
- სტატისტიკური ინფორმაცია
- ვებ-გვერდის რუკა

მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემაში (MIS) ავტორიზაცია

ავტორიზაცია

შემფასებელ

მათ შორისაა:

1. ტესტი
2. დაკალ
3. სერტი
4. ავტოს
5. საინსპ



ვებგვერდი შეიქმნა ევროკავშირის
მიერ დაფინანსებული პროექტის